შ ე ზ ღ უ დ უ ლ ი პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა

# შპს „მონიო“-ს (ს/კ 206114202)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის

დასრულებული წლისათვის

შპს „მონიო“ (ს/კ 206114202)

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი


ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ ----------

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში ----------

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში ----------

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში ----------

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

1.შპს „მონიო“-ს საქმიანობა ----------

72.ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკის მიმოხილვა ----------

3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურებთან დაკავშირებით ----------

4.ძირითადი საშუალებები ----------

5.არამატერიალური აქტივები ----------

6.მარაგები ----------

7.ფული და ფულის ექვივალენტები ----------

8.სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები ----------

9.საწესდებო კაპიტალი ----------

10.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ----------

11.ფინანსური ვალდებულებები ----------

12.პირობითი და სხვა ვალდებულებები

13.ფინანსური რისკების მართვა ----------

14.ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები ----------

შპს „მონიო“ (ს/კ 206114202)

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „მონიო“-ს (ს/კ 206114202 ) (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2021 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს,აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს 2021 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის ,მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების,სხვა მოვლენების და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე,დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

შპს „მონიო“ (ს/კ 206114202) 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2022 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი

დავით შავერდაშვილი ----------

მთავარი ბუღალტერი

თამარ მოისწრაფიშვილი ----------

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

| | დეკემბერი 2022 | დეკემბერი 2021 |
|---|---|---|
| **აქტივები** | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 820,183 | 322,034 |
| სავაჭრო მოთხოვნები | 60,353 | 92,140 |
| გადახდილი ავანსები | 42,985 | 39,652 |
| მარაგები | 158,884 | 168,528 |
| მზა პროდუქცია | | |
| სხვა | 158,884 | 168,528 |
| საინვესტიციო ქონება | | |
| სხვა მიმდინარე აქტივები | | |
| ბიოლოგიური აქტივები | | |
| თვითღირებულების მოდელით | | |
| გადაფასების მოდელით | | |
| გუდვილი | | |
| სხვა არამატერიალური აქტივები | | |
| ძირითადი საშუალებები | 2,828,363 | 2,906,189 |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში | | |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში | | |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | | |
| **სულ აქტივები** | **3,910,768** | **3,528,543** |
| **ვალდებულებები** | | |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | 197,481 | 202,113 |
| ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები | 94434 | 769997 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 2 | 2 |
| საგადასახადო ვალდებულებები | | |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი | | |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები | | |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | | |
| მიღებული გრანტები | | |
| სხვა ვალდებულებები | | |
| **სულ ვალდებულებები** | **291,917** | **972,112** |
| საკუთარი კაპიტალი | | |
| სააქციო კაპიტალი | 446500 | 446500 |
| საემისიო შემოსავალი | | |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | | |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი | 3,172,351 | 2,109,931 |
| გადაფასების რეზერვი | | |
| სხვა რეზერვები | | |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | **3,618,851** | **2,556,431** |
| **სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | **3,910,768** | **3,528,543** |

**საქმიანობის შედეგები**

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| **ნეტო ამონაგები** | **3,010,321** | **1,999,364** |
| საქონლის გაყიდვიდან | | |
| მომსახურების გაწევიდან | 3008220 | 1993366 |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | | |
| სხვა | 2101 | 5998 |
| **რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება** | **(74,704)** | **(102,095)** |
| საწყისი მარაგები | (168,528) | (136,896) |
| მარაგების შესყიდვა | -65060 | -133727 |
| გადამუშავების დანახარჯები | | |
| საბოლოო მარაგები | 158884 | 168528 |
| **საერთო მოგება** | **2,935,617** | **1,897,269** |
| სხვა შემოსავალი | | |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | (849,424) | (623,570) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | (168,240) | (166,249) |
| საპროცენტო შემოსავალი: | | |
| საპროცენტო ხარჯი : | | (16,405) |
| იჯარის ხარჯი | (1,200) | (1,200) |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | (854,333) | (541,458) |
| **სულ საოპერაციო ხარჯები** | **(1,873,197)** | **(1,348,882)** |
| **საოპერაციო მოგება** | **1,062,420** | **548,387** |
| **გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:** | | |
| ფინანსური აქტივები | | |
| მარაგები | | |
| სხვა არაფინანსური აქტივები | | |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან | | |
| მიღებული დივიდენდები | | |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი) | | |
| **მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან** | **1,062,420** | **548,387** |
| მოგების გადასახადი | | |
| **მოგება/(ზარალი)** | **1,062,420** | **548,387** |

**სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):**

ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი

| | | |
|---|---|---|
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები) | | |
| **სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ** | | |
| **მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)** | **1,062,420** | **548,387** |
| **საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)** | **2,556,431** | **2,015,934** |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა') | | |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) | | |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში | | |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები | | |
| **საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს** | **3,618,851** | **2,556,431** |

**ფულადი სახსრების მოძრაობა**

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | |
| კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები | 3388682.13 | 2223272.28 |
| მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები | 2333528.37 | 1201637.29 |
| **საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები** | **1055153.76** | **1021634.99** |
| გადახდილი პროცენტები | | 16405.46 |
| გადახდილი მოგების გადასახადი | | |
| გადახდილი სხვა გადასახადები | 407020.01 | 375976.74 |
| **წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან** | **648133.75** | **629252.79** |
| | | |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| ძირითადი საშუალების შეძენა | 90413.71 | 184137.75 |
| **წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან** | **90413.71** | **184137.75** |
| | | |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | |
| ნასესხები სახსრების გადახდა (სესხის ძირითადი თანხა) | | 214588.92 |
| გადახდილი დივიდენდები | | |
| **წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან** | **0.00** | **-214588.92** |
| სავალუტო კურსის ეფექტი | -59571.10 | -4669.88 |
| **ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა** | **498148.94** | **225856.24** |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის** | **322033.79** | **96177.55** |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის** | 820182.73 | 322033.79 |

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის დასრულებული წლისათვის

## 1.ზოგადი ინფორმაცია

კომპანია შპს „მონიო“ ს/კ 206114202 ფუნქციონირება დაიწყო 2010 წლიდან, კომპანიის საქმიანობის სფერო არის  საწყლოსნო სპორტული კომპლექსით მომსახურება. იურიდიული მისამართი: ქალაქი თბილისი, ჩოლოყაშვილის 5ბ ,ოფისი განთავსებულია იგივე მისამართზე;

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

ალექსანდრე ნიკოლაიშვილი (პ/ნ01007004535) --100%,

კომპანია არ ფლობს შვილობილ კომპანიას.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 01 იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული. საანგარიშგებო პერიოდისთვის ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულებამდე სიზუსტით.

## 2.ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფას-ზე გადასვლის შემდეგ პირველი ფინანსური ანგარიშგება.

## 3.ფინანსური ინსტრუმენტები-გაზომვის პირობები.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება,რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს,ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან ნაწილობრივ ინსტრუმენტს.

მსს ფასს მე-11 განყოფილების მიხედვით „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“ საწარმო ძირითად ფინანსურ აქტივებსა და ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს აღიარებს ამორტიზირებული ღირებულებით,გაუფასურებული ზარალის გამოკლებით, გარდა არაკონვერტირებადი პრივილეგირებულ აქციებსა და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციებისა, რომლებიც საჯაროდ იყიდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ან რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვაგვარად არის შესაძლებელი, მიზანშეუწონელი დანახარჯების,ან ძალისხმევის გარეშე და მათი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით,ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება მოგებაში ან ზარალში.

## 3.სააღრიცხვო პოლიტიკა

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია წარმოების განვითარების გეგმის შესაბამისად. შემდგომი პერიოდის განვითარების გეგმა ითვალისწინებს, რომ არსებული რესურსების პირობებში საწარმოს უნარი აქვს უწყვეტად განახორციელოს საოპერაციო საქმიანობა მომავალშიც.

1.ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

კომპანია ფულად სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიურ გარემოს. შესაბამისად საწარმოს სამუშაო ვალუტა და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ლარი.

| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 2022წ | 2021წ |
|---|---|---|
| ნაღდი ფული | 23103 | 27004 |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 252896 | 107182 |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 544183 | 187847 |

2.ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები მოიცავს მიწას, მანქანა-დანადგარებს, ა/სატრანსპორტო საშუალებებს, საოფისე აღჭურვილობას, ავეჯს და სხვა ინვენტარს, რომელიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით.

დანახარჯები, რომლებიც გაიწევა ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვაზე და რემონტზე, რომლითაც არ იზრდება ძირითადი საშუალებების ღირებულება, მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს.

დანახარჯები, რომლებიც გაიწევა ძირითადი საშუალებების რეკონსტრუქცია-განახლებაზე, კაპიტალიზდება და ზრდის ძირითადი საშუალებების ღირებულებას.

კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებების **თავდაპირველი აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.
იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.
მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

**ა) შემდგომი ხარჯები**

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

**ბ) ცვეთა**

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **შემცირებადი ნაშთის მეთოდი** სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით; რომელსაც მენეჯმენტი ყოველი წლის ბოლოს გადახედავს

**2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები**

| | 31 დეკემბერი 2021 წ | 31 დეკემბერი 2021 წ |
|---|---|---|
| 1000 ლარამდე | 36130.54 | 36130.54 |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 80829.96 | 81092.01 |
| ელ,გადამცემი ელექტრ, და საკომუნიკაციო | | |
| მოწყობილობა | 11906.54 | 16066.89 |
| მანქანა დანადგარები | 52050.26 | 56023.76 |
| მილსადენები და საწრყავი სისტემა | 8044.49 | 8413.59 |
| მიწის ნაკვეტები | 247032 | 205140 |
| ნაგებობები | 8147.3 | 8576.1 |
| ოფიისის აღჭურვილობა | 18568.21 | 18707.48 |
| სპეციალური მოწყობილობები | 134559.2 | 127131.6 |
| შენობები | 2231094 | 2348907 |
| | 2828362.92 | 2906188.97 |

## 3.მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

ნეტა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ღირებულება გამოთვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და მოიცავს მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

კომპანიას სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სახით გააჩნია:

| **მარაგები:** | **2022წ** | **2021წ** |
|---|---|---|
| სხვა მარაგები | 158884 | 168528 |
| **ჯამი** | **158884** | **168528** |

ბალანსზე არსებული ნედლეული და მასალები წარმოადგენს კომპანიის მასალებს, რომელსაც იყენებს ძირითად საქმიანობაში.

## 4.სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები | 2022წ | 2021წ |
|---|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები | 60353 | 92140 |
| გადახდილი ავანსები | 42985 | 39652 |
| **ჯამი** | **103338** | **131792** |

## 5.საწესდებო კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელია:

ალექსანდრე ნიკოლაიშვილი (პ/ნ 01007004535) -- 100%,

საწესდებო კაპიტალის აღიარება ხდება ფაქტობრივად შევსებული აქტივის რეალური ღირებულებით, როგორც კაპიტალი.

კომპანიის მიერ დივიდენდების განაწილების პრინციპი განისაზღვრება პარტნიორთა მიერ დამტკიცებული წლიური ბალანსის საფუძველზე საზოგადოების სამუშაო კაპიტალის, კაპიტალური დანახარჯების დავალიანებისა და სხვა ფინანსური მოთხოვნების გათვალისწინებით.

## 6.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.
2022 და 2021 წლის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა ვალდებულება მოიცავს:

| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 2021წ | 2021წ |
|---|---|---|
| სავაჭრო ვალდებულებები | 197481 | 202113 |
| სხვა ვალდებულებები | 94436 | 769999 |
| საგადასახადო ვალდებულებები | | |
| ჯამი | 291917 | 972112 |

## 7.სესხები და მოთხოვნები

გრძელვადიანი კრედიტები და სესხები აღიარდება კრედიტის ძირითადი თანხით. ყველა დამატებითი გადახდა (პროცენტი, საკომისიო,საკურსო სხვაობა) მიეკუთვნება მოგება-ზარალის ანგარიშს.

სესხები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. ნასესხები სახსრების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხი არ უფიქსირდება:

## გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

## 8.გადასახადები

გადასახადები მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2017 წლის იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად კომპანია მოგების გადასახადს იხდის მხოლოდ განაწილებული დივიდენდის და სხვა არაეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის დროს.

**დამატებით ღირებულებაზე გადასახადი.** გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებით ღირებულებაზე გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა და მომსახურების კლიენტებისათვის მიწოდებისთანავე, შეძენილ პროდუქციაზე და მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ს დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია შესყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ს ხარჯზე დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისთანავე. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

## 9.უცხოური ვალუტით აღრიცხული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაოდა წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ") მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალია ღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო ზარალი.

2012 წლის 31 დეკემბრისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი ლარის მიმართ იყო:

| | 31 დეკემბერი 2021წ | 31 დეკემბერი 2021წ |
|---|---|---|
| ლარი/1 აშშ დოლარი | 2,7020 | 3,0976 |
| ლარი/ 1 ევრო | 2,8844 | 3,5040 |

## 10.შემოსავლების აღიარება

კომპანიას გააჩნია რამდენიმე სახის შემოსავალი: მომსახურების გაწევიდან და ფართის იჯარიდან;

მომსახურების მიწოდებიდან წარმოქმნილ შემოსავლებს კომპანია აღიარებს ფასს 15-ის შესაბამისად, კერძოდ, როდესაც მოსალოდნელია აღნიშნულ მომსახურებას სანაცვლოდ შესაბამისი საზღაურის მიღება და შემოსავალთან დაკავშირებით ყველანაირი ვალდებულება შესრულებულია.

| | 2022 წ |
|---|---|
| ამონაგები | 3008220 |
| სხვა შემოსავლები | 2101 |
| სულ ამონაგები | 3010321 |

## 11.ხარჯების აღიარება

კომპანია დანახარჯების აღიარებს ოპერაციის მოხდენის მომენტში, დარიცხვის პრინციპის შესაბამისად;

ხარჯების აღიარება აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია. საწარმომ უნდა აღიაროს ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში,როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან და ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიური სარგებელი და ამგვარი ცვლილებების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

| | 2022წ |
|---|---|
| | ლარი |
| ხელფასები და მომსახურების სარგო | 849424 |
| ცვეთა ამორტიზაცია | 168240 |
| სადიზენფექციო ხსნარები და სამეურნეო | 75379 |
| კომუნალური ხარჯები | 498653 |
| სხვა ხარჯები | 356205 |

## 12.პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

**სამართლებრივი პროცედურები.** პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე.

**ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები**

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.
ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.
ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

**საგადასახადო კანონმდებლობა.**საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპნიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისთვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

**საოპერაციო გარემო.** საქართველოს, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

## 13. ფინანსური რისკების მართვა.

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტის ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

**საკრედიტო რისკი.**კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

**საბაზრო რისკი.**კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამმ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

**სავალუტო რისკი.** სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

**კაპიტალის რისკი.** კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფადმ რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აუქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

**საპროცენტო რისკი.** კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს, თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულ განაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

**ლიკვიდურობის რისკი.** ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მოწმოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს, რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის, რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლის კრედიტორული დავალიანება, რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად, კომპანიას აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის, დაფაროს სხვა არაურთიერთდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

**14. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები.**

ბალანსის შედგენის შემდეგ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

**15.ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 29 სექტემბერს

დირექტორი - დავით შავერდაშვილი

შპს მონიო ს/კ 206114202
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

| | დეკემბერი | | დეკემბერი | |
|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | **2022** | | **2021** |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | | 820183 | | 322034 |
| სავაჭრო მოთხოვნები | | 60353 | | 92140 |
| გადახდილი ავანსები | | 42985 | | 39652 |
| მარაგები | | 158,884 | | 168,528 |
| მზა პროდუქცია | | | | |
| სხვა | 158884 | | 168528 | |
| საინვესტიციო ქონება | | | | |
| სხვა მიმდინარე აქტივები | | | | |
| ბიოლოგიური აქტივები | | | | |
| თვითღირებულების მოდელით | | | | |
| გადაფასების მოდელით | | | | |
| გუდვილი | | | | |
| სხვა არამატერიალური აქტივები | | | | |
| ძირითადი საშუალებები | | 2828363 | | 2906189 |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში | | | | |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში | | | | |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | | | | |
| **სულ აქტივები** | | **3,910,768** | | **3,528,543** |

| | | |
|---|---|---|
| **ვალდებულებები** | | |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | 197481 | 202113 |
| ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები | 94434 | 769997 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 2 | 2 |
| საგადასახადო ვალდებულებები | | |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი | | |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები | | |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | | |
| მიღებული გრანტები | | |

| | | |
|---|---|---|
| სხვა ვალდებულებები | | |
| **სულ ვალდებულებები** | **291,917** | **972,112** |
| | | |
| საკუთარი კაპიტალი | | |
| სააქციო კაპიტალი | 446500 | 446500 |
| საემისიო შემოსავალი | | |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | | |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი | 3,172,351 | 2,109,931 |
| გადაფასების რეზერვი | | |
| სხვა რეზერვები | | |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | **3,618,851** | **2,556,431** |
| | | |
| **სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | **3,910,768** | **3,528,543** |

დირექტორი დავით შავერდაშვილი

მთ.ბუღალტერი თამარი მოისწრაფიშვილი

შპს მონიო ს/კ 206114202

**საქმიანობის შედეგები**

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| **ნეტო ამონაგები** | **3,010,321.00** | **1,999,364.00** |
| საქონლის გაყიდვიდან | | |
| მომსახურების გაწევიდან | 3008220 | 1,993,366.00 |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | | |
| სხვა | 2101 | 5,998.00 |
| | | |
| **რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება** | **(74,704.00)** | **(102,095.00)** |
| საწყისი მარაგები | (168,528.00) | (136,896.00) |

| | | |
|---|---|---|
| | (65,060.00) | (133,727.00) |
| მარაგების შესყიდვა | 158,884.00 | 168,528.00 |
| გადამუშავების დანახარჯები | | |
| საბოლოო მარაგები | **2,935,617.00** | **1,897,269.00** |
| **საერთო მოგება** | | |
| სხვა შემოსავალი | (849,424) | (623,570) |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | (168,240) | (166,249) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | | (16,405) |
| საპროცენტო შემოსავალი: | | (1,200) |
| საპროცენტო ხარჯი : | (1,200) | (541,458) |
| იჯარის ხარჯი | (854,333.00) | **(1,348,882)** |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | **(1,873,197)** | |
| **სულ საოპერაციო ხარჯები** | **1,062,420** | **548,387** |
| **საოპერაციო მოგება** | | |
| **გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:** | | |
| ფინანსური აქტივები | | |
| მარაგები | | |
| სხვა არაფინანსური აქტივები | | |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან | | |
| მიღებული დივიდენდები | | |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი) | **1,062,420** | **548,387** |
| **მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერ.** | | |
| მოგების გადასახადი | **1,062,420** | **548,387** |
| **მოგება/(ზარალი)** | | |
| **სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):** | | |
| ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი | | |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადა | | |
| **სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ** | **1,062,420** | **548,387** |
| **მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)** | | |

| | | |
|---|---|---|
| **საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)** | **2,556,431** | **2,015,934** |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა' | | |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) | | |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში | | |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები | | |
| **საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს** | **3,618,851** | **2,556,431** |

დირექტორი  დავით შავერდაშვილი

მთ.ბუღალტერი თამარი მოისწრაფიშვილი

შპს მონიო ს/კ 206114202

**ფულადი სახსრების მოძრაობა**

| | 2022 |
|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | |
| კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები | 3388682.13 |
| მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები | 2333528.37 |
| **საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები** | **1,055,153.76** |
| გადახდილი პროცენტები | |
| გადახდილი მოგების გადასახადი | |
| გადახდილი სხვა გადასახადები | 407020.01 |
| **წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან** | **648,133.75** |
| | |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | |
| ძირითადი საშუალების შეძენა | 90413.71 |
| **წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან** | **90,413.71** |
| | |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | |
| ნასესხები სახსრების გადახდა (სესხის ძირითადი თანხა) | |

| | |
|---|---|
| გადახდილი დივიდენდები | - |
| **წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან** | -59571.1 |
| სავალუტო კურსის ეფექტი | 498,148.94 |
| **ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა** | 322,033.8 |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის** | 820182.73 |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის** | |

დირექტორი დავით შავერდაშვილი

მთ.ბუღალტერი თამარი მოისწრაფიშვილი